ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3663029

ნომერი: AR1550676

თარიღი : 19.10.2017

გაცემის თარიღი : 07.11.2017

გაცნობის თარიღი : 07.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა გოგიძის ქუჩა N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა აფციაური პ/ნ 01008036008
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1ა ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, შემდეგს: ვინაიდან საზოგადოებრივი მხრიდან საორიექტო ტერიტორიაზე (საკ. კოდითN 01.13.02.004.003) შესვლა (ანუ ღიობების მოწყობა ჭიშკრის სახით ხორციელდება) საკ კოდით N 01.13.02.004.006 მიწის ნაკვეთის გამოყენებით იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, საჭირო თქვენი მოწის ნაკვეთის წინმდებარე ტერიტორია, საკ. კოდით N 01.13.02.004.006 მიწის ნაკვეთიდან დაიტვირთოს სერვიტუტით თქვენს სასარგებლოდ გზით სარგებლობის მიზნით. ზემოაღნიშნულისათვის საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ განახლებული საკ. კოდით N 01.13.02.004.006 მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა, რომელზეც ასახული იქნება სერვიტუტის მონაკვეთი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დაფიქსირებული იქნება ინფორმაცია თქვენთვის გზით სარგებლობის საჭიროების მიზნით სერვიტუტით დატვირთვის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.